# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
# დადგენილება №01-05-04/138

ქ. თბილისი

14 სექტემბერი 2020 წ.

**აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს №01-05-04/123 დადგენილების ცვლილების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, „2020-2021 სასწავლო წელს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 04 სექტემბრის №778305 ბრძანების, „„2020-2021 სასწავლო წელს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 04 სექტემბრის №778305 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 04 სექტემბრის №820260 ბრძანების, სწავლების დეპარტამენტის უფროსის, თამარ წერეთლის სამსახურებრივი გარათისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 სექტემბრის №01-05-02/24 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. ნაწილობრივ შეიცვალოს „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლის დაწყების თარიღის განსაზღვრის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს №01-05-04/123 დადგენილების პირველი პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წელი დაიწყოს 2020 წლის 28 სექტემბერს. 2020 წლის პირველ ოქტომბრამდე სასწავლო პროცესი წარიმართოს დისტანციურ რეჟიმში, ხოლო პირველი ოქტომბრიდან სასწავლო პროცესი გაგრძელდეს არადისტანციურ რეჟიმში."

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი ი. კუტუბიძე